# ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## დაბა სტეფანწმინდა

N 724

03/09/2019 724-01-4-201909031148

ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სახალხო დღესასწაულ „ყაზბეგობის“ ფარგლებში დაგეგმილ გალა კონცერტში მონაწილე ჯგუფ "ნონსტოპ ბენდის ",მომღერალ ლელა წურწუმიას და მომღერალ მარიამ(მაკა) ზამბახიძის მომსახურების გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის,61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1**. ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სახალხო დღესასწაულ „ ყაზბეგობაზე“ გალა კონცერტში მონაწილე ჯგუფ "ნონსტოპ ბენდის ",მომღერალ ლელა წურწუმიას და მომღერალ მარიამ(მაკა) ზამბახიძის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული წესით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის„ ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 17000 (ჩვიდმეტი ათასი )ლარს.

**მუხლი 2.** გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე, მე-5 მუხლის მე-2 მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით .

**მუხლი 3**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ. N86 ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ზაგაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია